

# წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. წაკითხულის გააზრების ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. ანალიტიკური წერის ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.  
თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

# წაკითხულის გააზრება

II ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

# ტექსტი №1

სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხის განსაზღვრისას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ქვეყნის კანონმდებლობის, კანონშემოქმედებისა და სამართალწარმოების ანალიზი: რამდენად არიან ჩართულნი სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანები კანონშემოქმედებასა და სამართალწარმოებაში პირდაპირი თუ ირიბი გზით.

ათენის სახელმწიფოს კანონშემოქმედება ამ სფეროს დემოკრატიულობის უპრეცედენტო მაგალითს წარმოადგენს. მასში, ბერძნული დემოკრატიის ყველა ძირითად ინსტიტუტთან ერთად (ბულე,<sup>1</sup> სახალხო კრება, ნომოთეტები<sup>2</sup>), მონაწილეობის მიღება შეეძლო ათენის რიგით მოქალაქესაც. თუ კანონი არ აკმაყოფილებდა საზოგადოების მოთხოვნებს, მოქალაქეს ჰქონდა უფლება ახალი კანონპროექტი წამოეყენებინა ხალხის წინაშე. მას აუცილებლად უნდა წარედგინა დაწესებული კანონის ახალი ვარიანტი და მხოლოდ ცვლილების ინიციატივით არ უნდა შემოფარგლულიყო. ამის შემდეგ ბულეს ეს საკითხი შეჰქონდა სახალხო კრების დღის წესრიგში. სახალხო კრება განიხილავდა, თუ რამდენად ღირდა ახალი კანონპროექტის წარდგენა ნომოთეტების წინაშე. ნომოთეტების შეკრებაზე, კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, მას კანონის ძალა ენიჭებოდა.

განსხვავებული სურათი იყო რომის რესპუბლიკაში. თუ ათენის კანონშემოქმედებას თამამად შეიძლება ეწოდოს აბსოლუტურად ღია მოქალაქის ინიციატივისათვის, რომში საკანონმდებლო ფუნქციით აღჭურვილნი იყვნენ უმაღლესი მაგისტრატები და სახალხო ტრიბუნები. რადგან ტრიბუნები ხალხის ინტერესების დამცველებს წარმოადგენდნენ, მათი უფლება კანონშემოქმედების სფეროში შეიძლება, გარკვეულწილად, კანონშემოქმედებაში რომაელი ხალხის არაპირდაპირ, ირიბ მონაწილეობად შეფასდეს.

ფეოდალურ საქართველოში კანონშემოქმედებაში ინიციატორის უფლებით მხოლოდ მეფე იყო აღჭურვილი. მას ჰქონდა საკანონმდებლო ფუნქცია, მაგრამ ეს არ გულისხმობდა ერთპიროვნულად კანონის მიღების უფლებას. კანონის მიღება ხდებოდა დარბაზის, ანუ სამეფო საბჭოს წევრთა თანამშრომლობითა და განჩინებით. ფეოდალურ საზოგადოებაში მოქმედი ნორმების თანახმად, კანონთა შემოქმედებაზე ხალხს ხელი არ მიუწვდებოდა, თუმცა წყაროებმა შემოგვინახა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ, ზოგ შემთხვევაში, ახალი საკანონმდებლო აქტის შექმნის პროცესში სახელმწიფო მოხელეებთან ერთად ჩართულნი იყვნენ ხევისბერებიც. მათი საშუალებით კანონთა შექმნაში, მართალია, ირიბად, მაგრამ მაინც, იმ რეგიონის ხალხიც იღებდა მონაწილეობას, საიდანაც ეს ხევისბერები იყვნენ.

<sup>1</sup> საბჭო, რომელიც მოქალაქეთა სახელით მოქმედებდა.

<sup>2</sup> ათენელი კანონმდებლები.

ათენში კანონთა ცოდნა მხოლოდ ელიტის პრეროგატივას არ წარმოადგენდა. კანონები საჯაროდ იყო გამოფენილი ათენის ცენტრში და ყველას შეეძლო მათი გაცნობა. რომში ამ მხრივ იდენტური სურათია. ე. წ. 12 დაფის კანონები, რომლებიც რომაული საკანონმდებლო სისტემის საფუძველს წარმოადგენდა, ამოტვიფრული იყო დაფებზე, რომლებიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას იყო გამოფენილი, რათა მათ ხალხი გაცნობოდა.

ათენის სახელმწიფოში დიდ ყურადღებას უთმობდნენ კანონშემოქმედების სფეროს მოწესრიგებას. ნიშანდობლივია, რომ ათენში ოლიგარქიული წყობის გადაგდების შემდეგ, ძვ. წ. 410 წელს, დემოკრატიული ხელისუფლების პირველი ნაბიჯი იყო ე. წ. კანონთა დამდგენი საბჭოს შექმნა. მას დაევალა არსებული კანონების საფუძველზე ახალი კანონების კორპუსის შედგენა, რასაც 6 წელი დასჭირდა. სახელმწიფოს მხრიდან კანონმდებლობის სფეროსათვის განსაკუთრებული ყურადღების მინიჭებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ათენში ყოველ წელს ხდებოდა არსებულ კანონთა რევიზია. კანონის გაუქმება და მისი ახლით ჩანაცვლება ხელაღებით არ ხდებოდა. ამას ადასტურებს სახალხო კრებაზე ხუთი კაცის არჩევა, რომლებსაც გასაუქმებელი კანონების დაცვა და, ასევე, იმ პირთა გამოვლენა და მხილება ევალებოდათ, რომლებიც სახელმწიფო კანონების საწინააღმდეგო კანონებს ქმნიდნენ. ათენის სახელმწიფო, ერთი მხრივ, რევიზიას უწევდა საკუთარ კანონმდებლობას, მეორე მხრივ, იცავდა მას.

კანონშემოქმედების სფეროს მოწესრიგებაზე ქართველებიც ზრუნავდნენ. სამართლის წიგნები (კანონები) იქმნებოდა სამართლის მცოდნეთა მიერ და შემდეგ მტკიცდებოდა სათათბირო ორგანოში. ვახტანგ VI-მ დაავალა სწავლულ კაცთა კომისიას ძველი ქართული სამართლის ძეგლთა შეკრება და უცხოურის (ბერძნულის, სომხურის) თარგმნა, რომელთა საფუძველზე თავად შეადგინა კანონთა კორპუსი – სამართლის წიგნი, რომელიც შემდგომში დარბაზმა დაამტკიცა.

ათენის ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანაბარი უფლებით სარგებლობდა, განსხვავებით უცხოელებისაგან, რომელთა სამართლებრივი უფლებები შეზღუდული იყო. რომის რესპუბლიკის ხანაში ხშირად ხდებოდა კანონების შედგენა-დამტკიცება პირადი მიზნების მიხედვით და ისინი პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოიყენებოდა. რაც შეეხება საქართველოს, კანონის წინაშე მოსახლეობის უფლებები ფეოდალური ფორმაციის სოციალურ-სამართლებრივი ნორმებით რეგულირდებოდა. წოდებრივი განსხვავება პირდაპირ აისახებოდა მათ უფლებებზე კანონის წინაშე.

# 1. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) ათენისა და რომის კანონშემოქმედებათა განხილვის ფონზე წარმოაჩინოს ფეოდალური საქართველოს კანონშემოქმედების სპეციფიკა.
- (ბ) მიმოიხილოს ათენის სახელმწიფოს, რომის რესპუბლიკისა და ფეოდალური საქართველოს კანონშემოქმედება.
- (გ) გამოკვეთოს კანონშემოქმედების სფეროს მოწესრიგების საკითხი ათენის სახელმწიფოში.
- (დ) ხაზი გაუსვას ათენის სახელმწიფოს კანონშემოქმედების დემოკრატიულ ხასიათს ფეოდალური საქართველოს კანონშემოქმედებასთან შედარებით.
- (ე) შეაფასოს სხვადასხვა ქვეყანასა და ეპოქაში ადამიანთა ჩართულობის მნიშვნელობა სახელმწიფოს კანონშემოქმედებაში.

2. რა გამოარჩევს ათენის კანონშემოქმედებას რომის რესპუბლიკისა და ფეოდალური საქართველოს კანონშემოქმედებისაგან?

- (ა) რომის რესპუბლიკასა და ფეოდალურ საქართველოსთან შედარებით ათენის სახელმწიფოში კანონები უფრო საჯარო იყო.
- (ბ) ათენის სახელმწიფოს კანონები უფრო სამართლიანი იყო, ვიდრე რომის რესპუბლიკისა და ფეოდალური საქართველოსი.
- (გ) ათენის სახელმწიფოში კანონის გაუქმება და მისი ჩანაცვლება ახალი კანონით იოლი პროცესი იყო, ხოლო რომსა და ფეოდალურ საქართველოში – საკმაოდ რთული.
- (დ) ათენის სახელმწიფოს მოქალაქეებს, რომისა და ფეოდალური საქართველოსაგან განსხვავებით, შეეძლოთ უშუალოდ ჩართულიყვნენ კანონშემოქმედებაში.
- (ე) ათენის სახელმწიფოს კანონმდებლობა იმდენად დახვეწილი იყო, რომ ის, რომისა და ფეოდალური საქართველოს კანონმდებლობებისაგან განსხვავებით, რევიზიას არ საჭიროებდა.

3. ფეოდალური საქართველოს კანონშემოქმედებასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

- (ა) ფეოდალურ საქართველოში კანონშემოქმედების პროცესში თანაბრად იყვნენ ჩართულნი მეფე და დარბაზის წევრები.
- (ბ) ქართველი მეფეები კანონთა შემუშავებისას მხოლოდ საქართველოს ძველი სამართლის ძეგლებსა და ადათ-წესებს ითვალისწინებდნენ.
- (გ) ფეოდალურ საქართველოში კანონის წინაშე ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობდა.
- (დ) ფეოდალურ საქართველოში კანონები ადვილად ხელმისაწვდომი იყო ხალხისათვის.
- (ე) ფეოდალური საქართველოს კანონშემოქმედებაში, ზოგ შემთხვევაში, ირიბად ხალხიც მონაწილეობდა.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

4. ათენის სახელმწიფოს კანონშემოქმედების შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელი არ დასტურდება ტექსტში?

- (ა) ათენის სახელმწიფოში კანონის შექმნის პროცესში შემდეგი თანამიმდევრობით იყვნენ ჩართულნი: მოქალაქე - ბულე - სახალხო კრება - ნომოთეტები.
- (ბ) ათენის რიგითი მოქალაქის მიერ შედგენილი კანონპროექტი ნომოთეტების მიერ დამტკიცების შემთხვევაში იღებდა კანონის ძალას.
- (გ) ათენში კანონში ცვლილების შეტანის ინიციატივა არ იყო საკმარისი კანონის შეცვლისა თუ ახალი კანონის მიღებისათვის.
- (დ) კანონშემოქმედებაში სახალხო კრების ჩართულობა ხელს უშლიდა ათენის მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობას ამ პროცესში.
- (ე) ათენში მოქალაქეები და სხვა ქვეყნებიდან ჩასული პირები განსხვავებული უფლებებით სარგებლობდნენ.



5. რის საილუსტრაციოდ არის მოყვანილი ტექსტში მაგალითი ძვ. წ. 410 წელს ე. წ. კანონთა დამდგენელი საბჭოს შექმნის შესახებ?

- (ა) ათენის სახელმწიფო ზრუნავდა საკანონმდებლო სფეროს განვითარებასა და დახვეწაზე.
- (ბ) ათენის სახელმწიფო ზრუნავდა, რომ კანონები ხელმისაწვდომი ყოფილიყო მოქალაქეთათვის.
- (გ) ათენის სახელმწიფო მუდმივად აკონტროლებდა საკუთარი კანონმდებლობის დაცვას.
- (დ) ათენის სახელმწიფო ზრუნავდა, რომ ახლად შედგენილი კანონების კორპუსი დაფუძნებული ყოფილიყო ოლიგარქიულ პრინციპებზე.
- (ე) ათენის სახელმწიფო ზრუნავდა, რომ კანონები პოლიტიკური ბრძოლის იარაღად არ ყოფილიყო გამოყენებული.

6. რა თანამიმდევრობით არის ტექსტში წარმოდგენილი შემდეგი საკითხები:

- A. კანონის წინაშე თანასწორობის საკითხი
- B. მოქალაქეთათვის კანონთა ხელმისაწვდომობა
- C. მოქალაქეთა პირდაპირი და ირიბი მონაწილეობა კანონშემოქმედებაში
- D. სახელმწიფოს ზრუნვა კანონების სრულყოფაზე

(ა) B, D, C, A.

(ბ) A, B, D, C.

(გ) D, A, C, B.

(დ) C, B, D, A.

(ე) B, C, A, D.

## 7. ტექსტის ბოლო აბზაცში

- (ა) განხილულია ტექსტის ძირითად თემასთან დაკავშირებული ახალი საკითხი.
- (ბ) გავრცობილია წინა აბზაცში მოყვანილი მსჯელობა.
- (გ) წარმოდგენილია მაგალითები წინა აბზაცში გამოთქმული აზრის საილუსტრაციოდ.
- (დ) წარმოდგენილია დასკვნა, რომელიც ემყარება ტექსტში განხილულ მაგალითებს.
- (ე) შეჯამებულია ტექსტში განხილული ძირითადი საკითხი.

## ტექსტი №2

ჩვილი ემოციურად იმ ადამიანებს ეჯაჭვება, რომლებსაც მასთან ხშირად აქვთ ურთიერთობა და მისდამი მეტ სითბოს ავლენენ. ისინი, როგორც წესი, არიან მშობლები, თუმცა ამ როლში შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი, ვისთანაც ჩვილს რეგულარული კონტაქტი აქვს.

ბავშვის მიჯაჭვულობას ოთხი მნიშვნელოვანი ნიშანი ახასიათებს. პირველი – *სიახლოვის შენარჩუნება* – ვლინდება იმაში, რომ ბავშვი თავის მიჯაჭვულობის ობიექტთან ფსიქოლოგიურად ან ფიზიკურად ახლოს ყოფნას ცდილობს. მეორე – *განშორების ტკივილი* – ვლინდება მაშინ, როდესაც ბავშვი განიცდის შიშსა და სტრესს მიჯაჭვულობის ობიექტისაგან იძულებითი ან ხანგრძლივი განშორების გამო. მესამე – *უსაფრთხო თავშესაფარი* – ვლინდება მაშინ, როდესაც ბავშვი უცნობ, სტრესულ ვითარებაში აღმოჩნდება, შემინებულია და ეძებს მიჯაჭვულობის ობიექტს. მეოთხე – *განვითარების შესაძლებლობა* – ვლინდება იმაში, რომ მიჯაჭვულობის ობიექტი დაცულობისა და უსაფრთხოების განცდის შექმნით შესაძლებლობას აძლევს ბავშვს, უკეთ შეიმეცნოს სოციალური და ფიზიკური გარემო.

ყველა ჩვილს თავდაპირველად უჩნდება მიჯაჭვულობა პირველი მომვლელის მიმართ. თუმცა ბავშვსა და უფროსს შორის ამ ურთიერთობის ხასიათი შეიძლება იცვლებოდეს დროთა განმავლობაში სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად. ფსიქოლოგები მიჯაჭვულობის სამ ძირითად სტილს გამოყოფენ, ესენია:

1. *საიმედო მიჯაჭვულობა* – ბავშვს უყალიბდება მაშინ, როდესაც მშობელი თუ მომვლელი ყოველთვის ხელმისაწვდომია და ბავშვის საჭიროებების მიმართ ყურადღებას გამოხატავს. ასეთი ბავშვი, როგორც წესი, თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობს.

2. *თავის არიდების მიჯაჭვულობა* – ბავშვს უჩნდება მაშინ, როდესაც მშობელი ბავშვისადმი, ჩვეულებრივ, უყურადღებო და გულგრილია, ან კიდევ უარესი, თავიდან იშორებს მას. ასეთი ბავშვები საკუთარ თავში თრგუნავენ სურვილებსა და უსუსურობის გრძნობას და საკმაოდ ადრე უყალიბდებათ განცდა იმისა, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი შეიძლება ჰქონდეთ.

3. *ამბივალენტური მიჯაჭვულობა* – ბავშვს უჩნდება მაშინ, როდესაც მომვლელი გამოხატავს შფოთვისა და არათანმიმდევრულად რეაგირებს ბავშვის საჭიროებებზე. იგი ზოგჯერ ადვილად ხელმისაწვდომი და ყურადღებიანია, ზოგჯერ კი – მიუწვდომელი ან მომაბეზრებლად მზრუნველი. ასეთი ბავშვი შეიძლება საფრთხეების მიმართ ზედმეტად მგრძნობიარე გახდეს და ხშირად განიცდიდეს შფოთსა თუ ბრაზს.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ მიჯაჭვულობა, ანუ ურთიერთობების დამყარების ტენდენცია და უნარი, ევოლუციური მემკვიდრეობის ნაწილია. ჩვილს, რომელიც იმთავითვე სრულიად უმწეო არსებად ევლინებოდა სამყაროს, ესაჭიროებოდა კვება, ზრუნვა, დაცვა; სხვებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება უზრუნველყოფდა იმას, რომ მას გადარჩენისათვის აუცილებელი ყურადღება მიეღო. ამრიგად, მიჯაჭვულობა ადაპტური იყო ადამიანის ევოლუციის პროცესში; შედეგად, ადამიანს ჩამოუყალიბდა ემოციური კავშირის დამყარების ტენდენცია იმათთან, ვისთანაც მუდმივად აქვს ურთიერთობა, აგრეთვე, იმის განწყობა, რომ კომფორტი და უსაფრთხოება ეძებოს ახლობლების გარემოში.

ბავშვის მიჯაჭვულობა, რომელსაც მშობლებთან ადრეული ურთიერთობების ხასიათი განაპირობებს, გავლენას ახდენს ადამიანის ურთიერთობების ხასიათზე ზრდასრულ ასაკში. მაგალითად, საიმედო მიჯაჭვულობის მქონე ბავშვს, როგორც წესი, უყალიბდება მოლოდინი, რომ ადამიანების უმრავლესობა გულისხმიერი, მზრუნველი და სანდოა. განწყობას, რომელსაც ადამიანი ცხოვრებაში შემდგომშიც ავლენს, *ურთიერთობების სამუშაო მოდელი* უწოდეს. სავარაუდოა, რომ საიმედო მიჯაჭვულობის სტილის მქონე ბავშვი ზრდასრულ ასაკში ურთიერთობის ამავე სტილს გამოავლენს, მაგალითად, რომანტიკულ პარტნიორთან ის სასიამოვნო და მყარ კავშირს დაამყარებს. თუმცა მიჯაჭვულობის სტილი შეიძლება შეიცვალოს იმისდა მიხედვით, როგორ ცხოვრებისეულ გამოცდილებას შეიძენს ადამიანი. მაგალითად, სიყმაწვილეში სრულყოფილმა და წარმატებულმა ურთიერთობებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ადამიანს, რომელსაც ბავშვობაში არ ჰქონია საიმედო მიჯაჭვულობა, შეიძინოს უფრო მიმნდობი ურთიერთობების სამუშაო მოდელი და ისწავლოს პარტნიორებთან საიმედო სტილით ურთიერთობა.

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, იმ ინდივიდებმა, რომელთა ცხოვრებაში არ მომხდარა ურთიერთობებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სტრესული მოვლენები, როგორებიცაა მშობლის სიკვდილი, მშობლების განქორწინება ან ფიზიკური ძალადობა, ზრდასრულობის ასაკშიც შეინარჩუნეს მიჯაჭვულობის საიმედო სტილი, რომელიც ბავშვობაში ჰქონდათ შეთვისებული. ხოლო მათგან, რომლებმაც უსიამოვნო გამოცდილება მიიღეს, მხოლოდ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა ბავშვობის ასაკში შემუშავებული საიმედო მიჯაჭვულობის სტილი.

**8. რა არის ავტორის ძირითადი მიზანი?**

- (ა) აღწეროს მიჯაჭვულობის სტილის ცვლილებები ადრეული ბავშვობიდან ზრდასრულ ასაკამდე.
- (ბ) გამოკვეთოს საიმედო მიჯაჭვულობის სტილის უპირატესობა მიჯაჭვულობის სხვა სტილებთან შედარებით.
- (გ) განიხილოს მიჯაჭვულობის რაობა და წარმოაჩინოს მისი გავლენა ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.
- (დ) გააანალიზოს მიჯაჭვულობის ადაპტური ფუნქცია და მისი ევოლუციური საფუძვლები.
- (ე) გააანალიზოს ის ფაქტორები, რომლებიც მიჯაჭვულობის სხვადასხვა სტილზე მოქმედებს.

9. ტექსტის მიხედვით, მიჯაჭვულობის ოთხი მახასიათებლიდან რომელია ყველაზე არსებითი?

- (ა) სიახლოვის შენარჩუნება.
- (ბ) განშორების ტკივილი და განვითარების შესაძლებლობა.
- (გ) უსაფრთხო თავშესაფარი და სიახლოვის შენარჩუნება.
- (დ) განვითარების შესაძლებლობა.
- (ე) არცერთი მახასიათებლის უპირატესობა გამოკვეთილი არ არის.

10. ტექსტის მიხედვით, შეკითხვაზე – „შემიძლია თუ არა, საჭიროების შემთხვევაში, მშობლების იმედი მქონდეს?“ – მოსალოდნელი პასუხი იქნება:

- (ა) თავის არიდების მიჯაჭვულობის მქონე ბავშვისა – „დიახ“, ხოლო ამბივალენტური მიჯაჭვულობის ბავშვისა – „არა“.
- (ბ) საიმედო მიჯაჭვულობის მქონე ბავშვისა – „არ ვიცი“, ამბივალენტური მიჯაჭვულობის ბავშვისა – „არა“.
- (გ) თავის არიდების მიჯაჭვულობის მქონე ბავშვისა – „არ ვიცი“, ხოლო ამბივალენტური მიჯაჭვულობის ბავშვისა – „არა“.
- (დ) საიმედო მიჯაჭვულობის მქონე ბავშვისა – „დიახ“, ამბივალენტური მიჯაჭვულობის ბავშვისა – „არ ვიცი“.
- (ე) თავის არიდებისა და ამბივალენტური მიჯაჭვულობის მქონე ბავშვებისა – „არა“, საიმედო მიჯაჭვულობის ბავშვისა – „არ ვიცი“.



11. რა თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი ტექსტში შემდეგი საკითხები?

- A. მიჯაჭვულობის გავლენა ურთიერთობების ხასიათზე ზრდასრულ ასაკში
- B. მიჯაჭვულობის ევოლუციური ბუნება
- C. მიჯაჭვულობის სხვადასხვა სტილი
- D. მიჯაჭვულობის ძირითადი მახასიათებლები

(ა) A, B, C, D.

(ბ) B, C, D, A.

(გ) C, D, A, B.

(დ) D, A, B, C.

(ე) D, C, B, A.

## 12. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ჩვილს თავდაპირველად მიჯაჭვულობა მხოლოდ მშობლების მიმართ უჩნდება.
- (ბ) ჩვილსა და უფროსს შორის ჩამოყალიბებული მიჯაჭვულობის სტილი ყოველთვის უცვლელი რჩება სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების მიუხედავად.
- (გ) ჩვილს მიჯაჭვულობა შეიძლება გაუჩნდეს ნებისმიერი ადამიანის მიმართ, რომელთანაც მუდმივი ურთიერთობა აქვს.
- (დ) ბავშვს მიჯაჭვულობა მხოლოდ იმ ადამიანისადმი უჩნდება, რომელიც მისი საჭიროებების მიმართ ადეკვატურ ყურადღებას გამოხატავს.
- (ე) ადრეულ ბავშვობაში შექმნილი უსაფრთხო მიჯაჭვულობის სტილი ზრდასრულ ასაკში წარმატებული ურთიერთობების გარანტიაა.

### 13. ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ზრდასრულ ასაკში ადამიანების ურთიერთობის ხასიათზე იშვიათად აისახება ბავშვობაში ჩამოყალიბებული მიჯაჭვულობის სტილი.
- (ბ) ახლობლებთან ემოციური კავშირის დამყარების ტენდენცია ადამიანს ევოლუციური განვითარების შედეგად ჩამოუყალიბდა.
- (გ) თავის არიდების მიჯაჭვულობის მქონე ბავშვი ზრდასრულობაში შეიძლება ჩამოყალიბდეს ისეთ ადამიანად, რომელიც არ ენდობა გარშემო მყოფებს.
- (დ) მიჯაჭვულობის სტილის გავლენით ჩამოყალიბებულ განწყობას, რომელიც განაპირობებს ურთიერთობების ხასიათს ზრდასრულობაში, ურთიერთობების სამუშაო მოდელი ეწოდება.
- (ე) მნიშვნელოვანმა უსიამოვნო გამოცდილებამ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს ბავშვობაში შექმნილი მიჯაჭვულობის სტილის ცვლილებაზე.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

#### 14. ბოლო აბზაცში:

- (ა) გაკრიტიკებულია წინა აბზაცში წარმოდგენილი მოსაზრება.
- (ბ) შეჯამებულია ტექსტში განხილული ძირითადი საკითხი.
- (გ) წამოჭრილია ტექსტის ძირითად თემასთან დაკავშირებული ახალი საკითხი.
- (დ) გაანალიზებული და განზოგადებულია წინა აბზაცში მოყვანილი მაგალითები.
- (ე) შევსებულია წინა აბზაცში განხილული თემა.

## ტექსტი №3

I ცხოველებს შორის სოციალური ურთიერთობა მოიცავს, უმეტესწილად, ინფორმაციის გადაცემას ამა თუ იმ ქცევის მეშვეობით, რომელსაც სიგნალი ჰქვია. სიგნალი იწვევს ცვლილებას მეორე ცხოველის ქცევაში. მისი გადაცემა, მიღება და მასზე რეაგირება ქმნის ცხოველთა კომუნიკაციას, რაც მათ შორის ურთიერთობის არსებითი ელემენტია. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციის ყველა სისტემაში გარემოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, კომუნიკაციის ზოგიერთი მახასიათებელი მაინც ძლიერ გენეტიკურ კონტროლს ექვემდებარება.

II ცხოველები კომუნიკაციას ამყარებენ ვიზუალური, ბგერითი, ქიმიური (ყნოსვითი), შეხებისა და ელექტრული სიგნალების გამოყენებით. ხმელეთის ძუძუმწოვრების უმეტესობა ღამეულია, რაც ვიზუალური სიგნალების გადაცემას მათთვის შედარებით არაეფექტიანს ხდის. სამაგიეროდ, ყნოსვითი და ბგერითი სიგნალები ეფექტიანია როგორც სიბნელეში, ასევე სინათლეშიც და ამიტომაც ძუძუმწოვრების მრავალი სახეობა იყენებს სიგნალის სწორედ ამ საშუალებებს. ჩიტები კი, პირიქით, სადღეღამისოები არიან და ყნოსვითი შეგრძნება ცუდად აქვთ განვითარებული. მათ ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ, ძირითადად, ვიზუალური და ბგერითი სიგნალებით. ამიტომ ჩიტები კომუნიკაციისთვის იყენებენ გალობასა და კაშკაშა შეფერილობას. ადამიანებიც სადღეღამისოები არიან და ისინიც, უმეტესწილად, ვიზუალური და ბგერითი კომუნიკაციის საშუალებებს მიმართავენ.

III ცხოველები, რომლებიც ყნოსვის მეშვეობით ამყარებენ კომუნიკაციას, გამოყოფენ ქიმიურ ნივთიერებებს – ფერომონებს. უმეტეს შემთხვევაში, როგორც ფერომონების გამოყოფა, ასევე მათზე საპასუხო რეაქცია განპირობებულია გენეტიკით. ფერომონების გამოყოფა განსაკუთრებით დამახასიათებელია ძუძუმწოვრებისა და მწერებისათვის და ის ხშირად უკავშირდება გამრავლების ქცევას. მაგალითად, ჩრჩილის პეპელა აფრქვევს ისეთ ფერომონებს, რომლებიც იზიდავს პარტნიორს რამდენიმე კილომეტრის მანძილიდანაც კი. ქიმიურ ნივთიერებასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სიგნალის კონტექსტი. მეთაფლია ფუტკრების დედოფლის მიერ გამოყოფილი ფერომონი მხოლოდ მაშინ იზიდავს მამრ მუშა ფუტკრებს, როდესაც ის სკის გარეთ არის. ამ დროს მუშა ფუტკრებს შეუძლიათ დედოფალთან შეჯვარება. ხოლო როდესაც ისინი სკაში არიან, დედოფლის მიერ გამოყოფილი ფერომონი მათზე აღარ მოქმედებს.

*ტექსტის გაგრძელება ->*

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

**IV** ფერომონები ასევე მონაწილეობენ ისეთ ქცევებშიც, რომლებიც გამრავლებასთან არ არის დაკავშირებული. მაგალითად, როცა ზოლიანი მგელთევზა დაშავდება, ფერომონი, რომელიც მის კანქვეშა ჯირკვლებშია დაგროვილი, წყალში იშლება და სხვა თევზებისათვის განგაშის სიგნალის როლს ასრულებს. ეს კი იმ არეალში მყოფ თევზებში საპასუხო რეაქციას იწვევს. ისინი უფრო ფხიზლად არიან და ჯგუფდებიან ფსკერთან ახლოს, სადაც უსაფრთხოდ გრძნობენ თავს.

**V** მწერის – დროზოფილას – სხვადასხვა სახეობის მამრები „სასიყვარულო სიმღერას“ წარმოქმნიან ფრთების ვიბრაციით. მდედრებს საშუალება აქვთ, იცნონ მორფოლოგიურად მათი მსგავსი, საკუთარი სახეობის მამრის „სიმღერა“ ისეთი დეტალების მეშვეობით, როგორებიცაა ფრთების ვიბრაციისას პულსებს შორის არსებული ინტერვალები და ხანგრძლივობა. მონაცემები გვიჩვენებს, რომ მამრი დროზოფილას „სიმღერის“ სტრუქტურა გენეტიკურადაა განპირობებული. მაგალითად, დროზოფილას მამრი თავისი სახეობისათვის დამახასიათებელ „სიმღერას“ გამოსცემს მაშინაც კი, როდესაც თავისი სახეობის სხვა „მომღერალი“ მამრები მას საერთოდ არ უნახავს.

**VI** საინტერესო მაგალითს წარმოადგენს მწერი მწვანე ოქროსთვალა. მორფოლოგიურად იდენტური მწვანე ოქროსთვალა ერთ დროს მიჩნეული იყო ერთ სახეობად; თუმცა ამ სახეობის ინდივიდთა „სასიყვარულო სიმღერების“ შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს მისი სულ ცოტა 15 სხვადასხვა სახეობა, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა „სასიყვარულო სიმღერას“ ასრულებს.

**VII** მრავალწლიანი საველე კვლევების განმავლობაში მკვლევრებს მწვანე ოქროსთვალას სხვადასხვა სახეობის ჰიბრიდები არ შეხვედრიათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახეობები შეიძლება ბინადრობდნენ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე. მკვლევრებმა თავად შეძლეს ლაბორატორიულ პირობებში განსხვავებულ სახეობათა ჰიბრიდების გამოყვანა. მაშინ, როდესაც თითოეული სახეობის ყველა ინდივიდი ერთსა და იმავე „სიმღერას მღეროდა“, ლაბორატორიაში გამოყვანილი მათი ჰიბრიდი-ნაშიერის „სიმღერა“ შეიცავდა ორივე მშობლის სახეობებისათვის დამახასიათებელი „სიმღერების“ ელემენტებს. ამ მონაცემებმა მკვლევრები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მწვანე ოქროსთვალას სახეობებისათვის დამახასიათებელი „სიმღერები“ გენეტიკურადაა განპირობებული.

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) ერთმანეთს შეადაროს გარემოსა და გენეტიკური ფაქტორების როლი ცხოველთა კომუნიკაციაში.
- (ბ) მიმოიხილოს სიგნალები ცხოველთა გამრავლებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კომუნიკაციაში.
- (გ) გააანალიზოს და ერთმანეთს შეადაროს საკომუნიკაციო სიგნალების განსხვავებული ტიპები.
- (დ) გამოკვეთოს გენეტიკურად განპირობებული ქცევის მნიშვნელობა მწერების კომუნიკაციაში.
- (ე) წარმოაჩინოს საველე და ლაბორატორიული კვლევების როლი ცხოველთა კომუნიკაციის შესწავლაში.

16. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს II აზვაციდან?

- (ა) ადამიანი კომუნიკაციის ყველა საშუალებას ბევრად უფრო ეფექტიანად იყენებს, ვიდრე ცხოველი.
- (ბ) ვიზუალურ სიგნალებს ყველაზე ეფექტიანად ხმელეთის ძუძუმწოვრები იყენებენ.
- (გ) სიგნალის ტიპი, რომელიც ინფორმაციის გადაცემისათვის გამოიყენება, მჭიდროდ უკავშირდება ცხოველის ცხოვრების წესსა და გარემო პირობებს.
- (დ) ჩიტები და ძუძუმწოვრები საკომუნიკაციოდ, ძირითადად, ყნოსვით და ვიზუალურ სიგნალებს იყენებენ, შედარებით ნაკლებად კი – ბგერით სიგნალებს.
- (ე) სიბნელესა და სინათლეში ყველა ძუძუმწოვარი კომუნიკაციისათვის ერთი და იმავე ტიპის სიგნალს იყენებს.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----



17. ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) მწვანე ოქროსთვალას სხვადასხვა სახეობის შეჯვარება ბუნებრივ პირობებში არ არის დაფიქსირებული.
- (ბ) მწერების ზოგიერთი სახეობა ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც მორფოლოგიურად, ისე „სასიყვარულო სიმღერით“.
- (გ) მწერების ზოგიერთი სახეობის ამოცნობა მხოლოდ მათი „სასიყვარულო სიმღერით“ არის შესაძლებელი.
- (დ) მწერები კომუნიკაციისათვის იყენებენ როგორც ბგერით, ისე ყნოსვით სიგნალებს.
- (ე) მორფოლოგიურად იდენტური მწერები ყოველთვის ერთსა და იმავე „სასიყვარულო სიმღერას“ ასრულებენ.

18. ავტორს მეთაფლია ფუტკრების მაგალითი მოჰყავს იმის საილუსტრაციოდ, რომ:

- (ა) მწერების მრავალი სახეობა დაწყვილების რიტუალის დროს სხვადასხვა სიგნალს იყენებს.
- (ბ) დაწყვილებასთან დაკავშირებული ქცევა მკაცრ გენეტიკურ კონტროლს განიცდის.
- (გ) კომუნიკაციაში მნიშვნელოვანია არა მარტო სიგნალი, არამედ შესაბამისი გარემოება.
- (დ) ფერომონები მონაწილეობენ მხოლოდ ისეთ ქცევებში, რომლებიც გამრავლებასთან არის დაკავშირებული.
- (ე) მეთაფლია ფუტკარი მწერის ერთადერთი სახეობაა, რომელიც კომუნიკაციას ყნოსვის მეშვეობით ამყარებს.

19. რა თანამიმდევრობით არის ტექსტში განხილული შემდეგი საკითხები?

- A. ყნოსვითი სიგნალების გამოყენება უსაფრთხოების დაცვის ქცევაში
- B. ბგერითი სიგნალების გამოყენება გამრავლების ქცევაში
- C. საკომუნიკაციო სიგნალის რაობა და მისი სახეები
- D. ყნოსვითი სიგნალების გამოყენება გამრავლების ქცევაში

(ა) D, B, A, C.

(ბ) D, B, C, A.

(გ) C, A, D, B.

(დ) C, D, A, B.

(ე) A, D, B, C.

20. ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი?

- (ა) დროზოფილა ბგერით სიგნალებს იყენებს ქცევაში, რომელიც გამრავლებასთან არის დაკავშირებული.
- (ბ) მწვანე ოქროსთვალა არის მწერის ერთი სახეობა, რომელიც 15 სხვადასხვა „სასიყვარულო სიმღერას“ ასრულებს.
- (გ) სხვა მამრებისგან იზოლაციის პირობებშიც კი მამრი დროზოფილა თავისი სახეობისათვის დამახასიათებელ „სიმღერას“ გამოსცემს.
- (დ) მწვანე ოქროსთვალას ჰიბრიდების „სიმღერა“ ორივე მშობლის სახეობებისათვის დამახასიათებელი „სიმღერის“ ელემენტებს შეიცავს.
- (ე) ზოლიანი მგელთევზები ყნოსვით სიგნალებს იყენებენ ისეთ ქცევებში, რომლებიც სახეობის უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული.

## 21. ტექსტის ბოლო აბზაცში:

- (ა) წარმოდგენილია ლაბორატორიული კვლევის შედეგები ტექსტის ერთ-ერთი აზრის გასამყარებლად.
- (ბ) წარმოდგენილია საველე დაკვირვების შედეგები ტექსტის ძირითადი აზრის გასამყარებლად.
- (გ) წარმოდგენილია კვლევის შედეგები ტექსტის ძირითადი აზრის საპირისპირო მოსაზრების სასარგებლოდ.
- (დ) შეჯამებულია ტექსტში წარმოდგენილი მაგალითები და კვლევის შედეგები.
- (ე) უახლეს კვლევებზე დაყრდნობით გაანალიზებულია სხვადასხვა მწერის ინდივიდუალური მახასიათებელი.

# ტექსტის დასასრული

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----